

მნიშვნელოვანია თუ არა ქორწინების შემდეგ წყვილების ოჯახიდან გამოყოფა? (ნუკლეარიზაცია)

ელენე მჭედლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, სოციოლოგია, მეორე კურსი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან თარხნიშვილი, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ან ჯერ გამოუქვეყნებელ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე მჭედლიშვილი

19. 06. 2014წ.

აბსტრაქტი

საკვლევი თემა ეხება ოჯახებს, წყვილებს და მათ ცხოვრებას დიდი ოჯახისგან დამოუკიდებლად.

მნიშვნელოვანია თუ არა წყვილების ოჯახისგან დამოუკიდებლად ცხოვრება, ნუკლეარიზაცია? - ამ კითხვაზე პასუხს ვიღებთ აღნიშნული კვლევის შედეგებით.

კვლევის მიზანია, გამოიკვლიოს, მნიშვნელოვანია თუ არა წყვილების დამოუკიდებლად ცხოვრება, არის თუ არა ეს აუცილებელი და რატომ, აქვთ თუ არა მათ ამის სურვილი და რა არის ხელისშემშლელი ფაქტორები. შესაძლებელია თუ არა დამოუკიდებლად მცხოვრები ოჯახი უფრო მყარი იყოს და რატომ. ასევე მოსალოდნელია თუ არა მარტივი ოჯახების ზრდა.

კვლევის განმავლობაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე:

- დამოუკიდებულება წყვილების დამოუკიდებლად ცხოვრებასთან დაკავშირებით;
- ცალკე ცხოვრების უპირატესობები ან უარყოფითი მხარეები;
- დამოუკიდებლად ცხოვრებასთან/არ ცხოვრებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები (ოჯახი, ეკონომიური მდგომარეობა და ა. შ.);
- საკვლევი თემის აქტუალობა საქართველოში;
- საკვლევი თემა რომელი კატეგორიისთვისაა მნიშვნელოვანი (ახლად დაქორწინებულები, ქორწინებაში დიდხანს მყოფები, ქალი, კაცი).

აღნიშნული კვლევის დროს გამოიყენება თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევა ჩატარდა თბილისსა და კახეთში (ლაგოდეხში) ახლად დაქორწინებულ წყვილებს შორის და ასევე მათ შორის, ვინც დიდი ხნის ქორწინებაში არიან.

1. ახლად დაქორწინებული წყვილი (ერთი წელი) 25წლამდე და 25 წელს ზევით;

2. ქორწინებაში დიდხანს მყოფი წყვილი (ხუთი წელი) 25წლამდე და 25წელს ზევით.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები

ოჯახი; დაქორწინებული წყვილები; ნუკლეარიზაცია.

Abstract

The following research topic is about the families, couples and their living independently from the big families.

Is it important for the couples to live independently from their big families, family nuclearization? – This question is answered with the results of the research.

The research aims to examine if it is important for couples to live independently, whether this issue is necessary and why, whether they want it and what are the major obstacles. Whether if the families that live independently are more stable and why. If it is expected the growing of the simple families.

Research is focused on the following issues:

- The attitude related to the couples' independently living issue;
- The advantages or disadvantages of living independently;
- The factors affecting to the decision about living/non-living independently (Family, financial situation);
- The actuality of the research in Georgia;
- Determination of the issue which category of the people is interested to the research (Newly married, married for a long time, woman, man).

The research is based to the qualitative research method, namely, intensive interview. The research was conducted among the newly married couples, and also among those who are married for a long time in Tbilisi and in Kakheti region (Lagodekhi).

1. The newly married couple - (one year) to 25 years old and above 25;
2. The couple who are married for a long time - (five years) to 25 years old and above 25;

Key Words: Family; Married couples; Nuclearization.